(Ο Ναός οίκος Θεού -25/10/2020)

წმინდა ტაძარი - უფლის წმინდა სახლი
25 ოქტომბერი 2020 წელი

საღვრთო ლიტურღიის და სხვა ღვთის მსახურებისას მშვიდობის (რომლის შესახებაც წინა ქადაგებებში ვისაუბრეთ) შესახებ ლოცვისას ჩვენ აღვავლენთ ლოცვას: ,,წმინდასა ამის ტაძრისათვის სარწმუნოებითა, სასოებათა და შიშითა ღვთისათა შემავალთა ამას შინა, უფლისა მიმართ ვილოცოთ(დიდი კვერექსი, ეკტენია მე-3 სავედრებელი)

ის ფაქტი, რომ ეკლესია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ სავედრებელთხოვნას და მოუწოდებს მორწმუნეებს ილოცონ ,,წმინდა სახლისთვის" უფლისა, ამტკიცებს, რამდენად მნიშვნელოვანია წმინდა ეკლესია (ტაძარი) თითოეული ქრისტიანის ცხოვრებაში. უფლის წმინდა სახლ - ეს წმინდა ადგილია, სადაც მისი შვილები იკრიბებიან, რათა შეუერთდნენ ღვთიურ მამას და თაყვანი სცენ მას. სწორედ იქ უსმენს ის ყველა თავის შვილს და სწორედ იქ შეუძლათ მიიღონ სიმშვიდე თავიანთი უბედურებებისაგან, ტანჯვისაგან და მწუხარებისაგან.

ხან და ხან უფალი ჩვენი იესო ქრისტე მიმართავს ხალხს: ,,მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისუენო თქუენ" (მათე 11:28). წმინდა ეკლესია წარმოადგენს არა მარტო სულის მამშვიდებელ ადგილს, ეს ადგილია, სადაც უფალი წმინდა წერილის მეშვეობით და წმინდა სახარების ქადაგებით გვმოძღვრავს და ცხოვრებაში მოგყვება წმინდა სისხლისა და ხორცის ზიარებით(აგრეთვე სხვა წმინდა საიდუმლოებებით) უფალი გვაერთიანებს მორწმუნეებს, ანათლებს მათ და გვაძლიერებს ყოველდღიურ განსაცდელებში. ამით, მორწმუნეების ცხოვრება მყარადაა დაკავშირებული უფლის სახლთან. მორწმუნეები აღორძინდებიან წმინდა ნათლობით, ჯვარს იწერენ და ქორწუნებით ერთიანდებიან და იღებენ უფლის კურთხევას, რათა დაიწყონ თავიანთი ახალი სულიერი ცხოვრება. მთელი ცხოვრების განმავლობაში ბოლო დღემდე და გარდაცვალებამდე ადამიანები მოდიან თავიანთი ტვირთით ეკლესიაში - ეს მორწმუნეებისათვის გადამრჩენელი ნავთსაყუდელია.

აი ამიტომ მართმადიდებელ ქრისტიანებს უყვართ და პატივს სცემენ წმინდა ეკლესიებს. როდესაც ყალიბდება ახალი მრევლი, ყველა წევრი მონაწილეობს მის განვითარებაში ისინი დებენ თავიანთ წვლილს ეკლესიის მშენებლობაში, საჭიროებებით ამარაგებენ: წმინდა ხატებით, სანთლებით, წმინდა ჯურჯლით და ა.შ. თუ ეს ძველი ეკლესიაა, მაშინ მრევლი ზრუნავს მის მდგომარეობაზე, რომ ეკლესიამ ყოველთვის იმოქმედოს მრევლი ყველაფერს აკეთებს რათა შესრულდეს საღვრთო ლიტურღია, იქნებ ეს

სეფისკვერი (პური), ღვინო, საკმეველი, ზეთი კანდელისთვის და სხვა საჭიროებები. ისინი სიამოვნებით ეხმარებიან (იქნება ეს დიდი თუ მცირე, გამომდინარე თავიანთი შესაძლებლობებიდან) თითოეული ეკლესიის შესანახად.

იმ მორწმუნეებისათვის, რომლებიც წმინდა ეკლესიას თავიანთი სიყვარულით ავსებენ, ეხმარებიან და ზრუნავენ ეკლესიის სილამაზესა და წესრიგზე, ეკლესია ყოველდღიურად აღავლენს განსაკუთრებულ ლოცვებს (დილას და საღამოს). ერთ-ერთ ლოცვაში ნათქვამია: ,, ..." (მეორე ანტიფონის ლოცვა და საღვრთო ლიტურგიის ლოცვა). რა სასიხარულოა, როცა თავიანთი მორჩილებით ქრისტიანები იღებენ ყოვლისშემძლე ღმერთის წყალობასა და კურთხევას. ეკლესია არასოდეს არ წყვეტს ლოცვას იმ ადამიანებისათვის, რომელთაც წვლილი მიუძღვით ეკლესიის მშენებლობაში, მათთვის, რომლებიც სხვა და სხვა დროს აგრძელებენ ეკლესიების მიმართ თანადგომას ლოცვებში მოიხსენიება ის ქრისტიანებიც, ვინც უკვე გარდაიცვალა: ,,მერმეცა გევედრებით ნაყოფის შემომწირველთათვის და კეთილის მყოფელთან წმინდასა და ყოვლაპატიოსნისა ამის ტაძრისა..." (ეკტანია, საღვრთო ლიტურგია, დილა და საღამო). როდესაც მორწმუნეები ივსებიან სიყვარულით უფლის სახლის მიმართ, ისინი ისწრაფვიან ყველაფერი გააკეთონ, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენი ეკლესიების მხარდასაჭერად.

არის სერიოზული მიზეზი, რომლის გამოც ეკლესია ლოცულობს იმაზე, რომ უფლის სახლები შენარჩუნდნენ მთლიანობაში და კეთილგანწყობით. წმინდა ტაძრებს ხშირად ემუქრებათ სხვა და სხვა საფრთხეები: არიან ადამიანები, რომლებსაც სურთ ზიანი მიაყენონ მართმადიდებელ ეკლესიებს; ჩვენ აგრეთვე ვიცით ბარბაროსული შემოსევების შემთხვევებიც. საკმარისია გავიხსენოთ, რამდენი ეკლესია იქნა აფეთქებული, გადამწვარი, ან სხვა და სხვა მიზეზებით დანგრეული.

სამრევლო ეკლესიის დაკარგვა- დიდი დარტყმაა მორწმუნეების სულიერ-ლიტურგიული ცხოვრებისათვის! მსოფლიო ქრისტიანებმა განსაკუთრებით იგრძნეს ბოლო დროს, როდესაც კორონა ვირუსის პანდემიის გამო მორწმუნეებს არ შეეძლოთ ეკლესიაში მოსვლა აღდგომის დროსაც კი ეს რამდენიმე თვის მანძილზე გრძელდებოდა, თუმცა ღია, როცა მორწმუნეები დიდი ხნით ტოვებენ თავიანთ ეკლესიას, ისინი ბრუნდებიან სერიოზული სულერი გამოცდის გავლით.

ჩემო ძმებო და დებო, მოდით სიყვარულით გარშემოვარტყათ ჩვენს სამრევლო ეკლესიას და მის ერთგულნი ვიყოთ ყოველ ჯერზე როცა მოძღვარი ამბობს ლოცვას ,,წმინდისა ამის ტაძრისათვის..." ან: უფალო, ღმერთო ჩვენო... მონათა ღმრთისა და ძმათა წმინდისა ამის ტაძრისათა..." მოდით გავამტკიცოთ ეს ლოცვა მთელი ჩვენი სულერი ძალით.

ჩვენი მონაწილეობის დამთავრებისას საღვრთო ლიტურგიაში, მოდით ვედრებით მივმართოთ უფალს თხოვნით

საიმედოდო დაიცვას და სამარადისოდ განამტკიცოს ეს უფლის სახლი.